დადგენილება №8/2026 სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინიტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ

დადგენილება №8/2026
თარიღი: 24 ივნისი, 2026 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, "სსიპ -თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დამტკიცების (არჩევნების) პროცედურის უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" კონსერვატორიის რექტორის 2026 წლის 18 ივნისის № 02-48-R ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო კომისიის 2026 წლის 24 ივნისის შემაჯამებელი ოქმისა და კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს 2026 წლის 24 ივნისის №5 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 5),

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2026 წლის 19 ივნისის N21/2026 დადგენილებით შერჩეული კანდიდატი – ალექსანდრე გაბუნია, 4 (ოთხი) წლის ვადით, დამტკიცებულ იქნეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე (იხ.შემაჯამებელი ოქმი).
2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.
3. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი